

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ (ს/ნ 430024840)

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შ ი ნ ა ა რ ს ი

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე	
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ	
შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ 2017 წლების ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები	
1.	ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
2.	მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
3.	ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
4.	ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
5.	განმარტებითი შენიშვნები შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე
მმართველობის ანგარიშგება (2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა)	

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი
ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად და ასახავს შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;

- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;

- ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები დამტკიცებულია 2018 წლის 1 აგვისტოს.

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“

დირექტორი:



მერაბ ჩხეტია/

2018 წ. 15 აგვისტო
თბილისი, საქართველო

**შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი
ფინანსური ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად და ასახავს შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, საადრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;

- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;

- ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები დამტკიცებულია 2018 წლის 1 აგვისტოს.

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“

დირექტორი:

/ მერაბ ჩხეტია/

2018 წ. 15 აგვისტო
თბილისი, საქართველო

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“
ხელმძღვანელობას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ (ს/ნ 430024840) 2017 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური და
მმართველობის ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის
შესახებ (ბალანსს); ანგარიშგებას მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების
შესახებ; ანგარიშგებას საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ; ანგარიშგებას ფულადი
სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებით
შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე
მიმოხილვას. ასევე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებას.

აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის
გათვალისწინებით, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისად, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ზესტაფონის
სავაჭრო ცენტრის“ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ მდგომარეობას, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ
შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში, მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა მხარეთა შორის 2018 წლის 21 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა მიხედვით და შესაბამისი მოსაზრების წარმოდგენას. აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო

სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული აქტებით დაკისრებული ვალდებულებები აღწერილია „აუდიტორის პასუხისმგებლობის“ განმსაზღვრელ ნაწილში.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებელი დამკვეთისაგან, დავიცავთ კონფიდენციალობის ვალდებულებებს, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტზე

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ანგარიშგებებზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ანგარიშგებების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ანგარიშგებების წარდგენის შეფასებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად

მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

შპს „აუდიტი და კონტროლი“ გარიგების პარტნიორი:
ქ. თბილისი, დიდმის მასივი, მე-4 კვ. I ა კორპუსი, ბ. №5
26 სექტემბერი 2018 წელი



გია ტუხაშვილი

შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/წ 401952856, <http://auditcontroll.com/>; 01067 თბილისი, დიდმის
მასივი, მე-4 კვარტალი, I ა კორპუსი, ბ. №5, გარიგების პარტნიორი: გია ტუხაშვილი,
რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში: № SARAS-A-469815; № SARAS-F-833498,
auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.: 599 54 03 55

პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 100.000 ლ.

ფინანსური ანგარიშგებები

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ ს/ნ 430024840

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

შენიშვნა 31.12.2017 წ. 31.12.2016 წ.

აქტივი

აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	1ა	46,185	207,453
მოკლევადიანი მოთხოვნები	2ა	1,661,758	1,018,044
სასაქონლო მატერიალური მარაგი	3ა	44,557	34,697
სულ მიმდინარე აქტივები		<u>1,752,500</u>	<u>1,260,193</u>
ძირითადი საშუალებები	4 ა	9,706,796	9,977,445
არამატერიალური აქტივები	5ა	6,396	9,827
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>9,713,191</u>	<u>9,987,272</u>
სულ აქტივები		<u>11,465,691</u>	<u>11,247,465</u>

პასივი


ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	6ა	71,942	89,257
გრძელვადიანი ვალდებულებები	7ა	3,915,866	4,439,278
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>3,987,808</u>	<u>4,528,535</u>
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8ა	7,461,901	7,461,901
გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი		15,982	-742,971
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		<u>7,477,883</u>	<u>6,718,930</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		<u>11,465,691</u>	<u>11,247,465</u>

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ -ს
დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მერაბი ჩხეტია

დარეჯან კობახიძე



ფინანსური ანგარიშგებები

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ ს/ნ 430024840

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

შენიშვნა 31.12.2017 წ. 31.12.2016 წ.

აქტივი

აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები	1ა	46,185	207,453
მოკლევადიანი მოთხოვნები	2ა	1,661,758	1,018,044
სასაქონლო მატერიალური მარაგი	3ა	44,557	34,697
სულ მიმდინარე აქტივები		<u>1,752,500</u>	<u>1,260,193</u>
ძირითადი საშუალებები	4 ა	9,706,796	9,977,445
არამატერიალური აქტივები	5ა	6,396	9,827
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>9,713,191</u>	<u>9,987,272</u>
სულ აქტივები		<u>11,465,691</u>	<u>11,247,465</u>

პასივი

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები	6ა	71,942	89,257
გრძელვადიანი ვალდებულებები	7ა	3,915,866	4,439,278
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>3,987,808</u>	<u>4,528,535</u>
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8ა	7,461,901	7,461,901
გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი		15,982	-742,971
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		<u>7,477,883</u>	<u>6,718,930</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		<u>11,465,691</u>	<u>11,247,465</u>

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ -ს
დირექტორი

მერაბი ჩხეტია

მთავარი ბუღალტერი

დარეჯან კობახიძე

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ ს/ნ 430024840

მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შემოსავლები რეალიზიციიდან	2,355,447	2,264,180
გაყიდული/შემენილი საქონელი	(5,582)	(20,045)
საოპერაციო მოგება	2,349,865	2,244,134
კურსთაშორის სხვაობა	459	13,660
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ფასეულობები	3,984	0
გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	114,885	84,184
შემოსავლები ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერიდან	127	1,655
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	81,952	1,468
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	201,406	100,966
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(356)	0
პირდაპირი ხელფასი	(438,144)	(481,136)
გაყიდული/შემენილი საქონელი	(5,582)	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(38,062)	(40,985)
ადმინისტრაციის ხელფასი	(208,426)	(185,343)
საიჯარო ქირის ხარჯი- ავტო მანქანის	(48,083)	(46,934)
კომუნიკაციის ხარჯი	(114,451)	(32,143)
შეკეთების ხარჯი	(3,553)	(3,386)
დასუფთავების ხარჯი	(325,346)	(309,408)
გაზის პროექტი	(38,545)	(129,023)
ექსპერტიზის ხარჯი	(7,800)	0
სხვა საერთო ხარჯი	(2,651)	(2,818)
საქბანკიდან მიღებულ კრედიტზე დარიცხული პროცენტი	(336,319)	(478,827)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0	(393,413)
სულ სხვა ხარჯი	(1,567,318)	(2,103,416)
გაუნაწილებელი მოგება	983,953	241,685

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“
დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

მერაბი ჩხეტია

დარეჯან კობახიძე



შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ ს/ნ 430024840

მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

შენიშვნა	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შემოსავლები რეალიზიციიდან	2,355,447	2,264,180
გაყიდული/შემძენილი საქონელი	(5,582)	(20,045)
საოპერაციო მოგება	2,349,865	2,244,134
კურსთაშორის სხვაობა	459	13,660
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ფასეულობები	3,984	0
გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	114,885	84,184
შემოსავლები ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერიდან	127	1,655
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	81,952	1,468
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	201,406	100,966
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(356)	0
პირდაპირი ხელფასი	(438,144)	(481,136)
გაყიდული/შემძენილი საქონელი	(5,582)	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(38,062)	(40,985)
ადმინისტრაციის ხელფასი	(208,426)	(185,343)
საიჯარო ქირის ხარჯი- ავტო მანქანის	(48,083)	(46,934)
კომუნიკაციის ხარჯი	(114,451)	(32,143)
შეკეთების ხარჯი	(3,553)	(3,386)
დასუფთავების ხარჯი	(325,346)	(309,408)
გაზის პროექტი	(38,545)	(129,023)
ექსპერტიზის ხარჯი	(7,800)	0
სხვა საერთო ხარჯი	(2,651)	(2,818)
საქმანკიდან მიღებულ კრედიტზე დარიცხული პროცენტი	(336,319)	(478,827)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0	(393,413)
სულ სხვა ხარჯი	(1,567,318)	(2,103,416)
გაუნაწილებელი მოგება	983,953	241,685

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“
დირექტორი

მერაბი ჩხეტია

მთავარი ბუღალტერი

დარეჯან კობახიძე

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ ს/ნ 430024840

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

მაჩვენებლები	შენიშვნა	2017 წელი	2016 წელი
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		3,226,158	7,062,525
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები		(3,618,609)	(7,344,214)
		(392,451)	(281,689)
საფინანსო საქმიანობა			
მიღებული ავანსები		2,000	
გაცემული ავანსები		2,000	0
საინვესტიციო საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები		225,000	
		225,000	0
არასაოპერაციო საქმიანობა			
არასაოპერაციო შემოსავლები		761	
არასაოპერაციო ხარჯები		3,423	469,767
		4,184	469,767
ფულადი და მისი ეკვივალენტი წლის დასაწყისში		207,453	19,375
ფულადი და მისი ეკვივალენტი წლის ბოლოს		46,185	207,453
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში		(161,267)	188,078

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ დირექტორი
მთავარი ბუღალტერი



მერაბ ჩხეტია
დარეჯან კობახიძე

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ ს/ნ 430024840

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

მაჩვენებლები	შენიშვნა	2017 წელი	2016 წელი
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		3,226,158	7,062,525
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები		<u>(3,618,609)</u>	(7,344,214)
		<u>(392,451)</u>	<u>(281,689)</u>
საფინანსო საქმიანობა			
მიღებული ავანსები		2,000	
გაცემული ავანსები		<u>2,000</u>	<u>0</u>
საინვესტიციო საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები		<u>225,000</u>	<u>0</u>
არასაოპერაციო საქმიანობა			
არასაოპერაციო შემოსავლები		761	
არასაოპერაციო ხარჯები		<u>3,423</u>	<u>469,767</u>
		<u>4,184</u>	<u>469,767</u>
ფულადი და მისი ქვივალენტი წლის დასაწყისში		207,453	19,375
ფულადი და მისი ქვივალენტი წლის ბოლოს		46,185	207,453
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში		<u>(161,267)</u>	<u>188,078</u>

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

მერაბ ჩხეტია
დარეჯან კობახიძე

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ ს/ნ 430024840

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

	31/12/2016 საწყისი დებეტი	31/12/2016 საწყისი კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2017 საბოლოო დებეტი	31/12/2017 საბოლოო კრედიტი
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	0	7461901	0	0	0	7461901
გაუნაწილებელი მოგება	0	0	225000	225000	0	0
დაუფარავი ზარალი	-742971.03	0	225000	983953.43		15982.4
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	0	0	2551271.11	2551271.11	0	
	6718929.97				7477883.4	

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მერაბ ჩხეტია

დარეჯან კობახიძე

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ ს/ნ 430024840

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

	31/12/2016 საწყისი დებიტი	31/12/2016 საწყისი კრედიტი	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2017 საბოლოო დებიტი	31/12/2017 საბოლოო კრედიტი
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	0	7461901	0	0	0	7461901
გაუნაწილებელი მოგება	0	0	225000	225000	0	0
დაუფარავი ზარალი	-742971.03	0	225000	983953.43		15982.4
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	0	0	2551271.1 1	2551271.1 1	0	
	6718929.97				7477883.4	

შპს „ზესტაფონის სავაჭრო
ცენტრის“ დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მერაბ ჩხეტია

დარეჯან კობახიძე

განმარტებითი შენიშვნები

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზოგადი ინფორმაცია

საფირმო სახელწოდება: ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი;
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 430024840;
რეგისტრაციის თარიღი: 15/04/2011
მარეგისტრირებული ორგანო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. №42

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - 41001010993, მერაბი ჩხეტია

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი
შპს „მ.ს.“ ს/ნ 211327287	26%
შპს „ლამინორა“ ს/ნ 400007461	25%
შპს „ადვანტა“ ს/ნ 400019305	24%
ფ/პ ომარ სამადაშვილი პ/ნ 01020002660	25%

ცვლილებები

საანგარიშგებო პერიოდში შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ სარეგისტრაციო მონაცემები არ შეცვლილა.

1. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელია შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ დირექტორი.

ფინანსური ანგარიშგების შედგენას ახორციელებს მთავარი ბუღალტერი.

შესაბამისობა

➤ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად და დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

უნივერსიტეტი ფუნქციონირებადია და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას. საწარმოს აქტივები (ძირითადი საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითად საშუალებებად აღიარების კრიტერიუმებს) შეფასებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა

ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარება განხორციელდა ბასს 16-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასებულია მისი თვითღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება მოხდენილია თვითღირებულების მოდელის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ნარჩენი (თავდაპირველ ღირებულებას - ცვეთა) ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის პროცესში მათ შეეკეთებასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული კაპიტალიზებადი

ხარჯებით იზრდება ძირითად საშუალებათა შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

უნივერსიტეტის ინვესტიციები ბალანსზე აისახება საბაზრო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

გრძელვადიან აქტივებად, გრძელვადიან ინვესტიციებად, გრძელვადიან სესხებად და კრედიტებად, გრძელვადიან მოთხოვნილებებად და ვალდებულებებად ითვლება ყველა აქტივი ან/და პასივი, საექსპლუატაციოდ გათვლილი ერთ წელზე მეტი ვადით. ფინანსური იჯარა აისახება გრძელვადიან აქტივებში.

ცვეთა. ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრულია ექსპლოატაციის (ცვეთის) პერიოდი და ცვეთის ღირებულება.

ცვეთადი ღირებულება იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება მიიჩნევა, როგორც არაარსებითი და ამდენად, ნულს უტოლდება. ცვეთადი ღირებულება აქტივის (ძირითადი საშუალების) თვითღირებულების ტოლია.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობის აღრიცხვა

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს ბასს2-ის მოთხოვნიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება მიმდინარე აღრიცხვაში წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით, ხოლო ბალანსზე ასახავს, მარაგები შეფასდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღსაღრიცხად გამოიყენება მატერიალურ-ფასეულობათა აღრიცხვის მუდმივი (წრფივი) მეთოდი (საბოლოო ნაშთი = საწყის ნაშთს + მიღება - გასვლა).

ხარჯებად აღიარება

თუ მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა აღიარდება იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

მატერიალური ფასეულობების აღიარება ხარჯებად მოხდება მათი ფაქტიურად გახარჯვის (და არა შეძენის) მომენტში.

ხარჯები და ამ ხარჯებიდან მიღებული შემოსავლები ბუღალტრულ აღიცხვაში აისახება შესაბამისად, ანუ ხარჯებისა და ამ ხარჯების მეშვეობით მიღებული შემოსავლის აღრიცხვაში დაფიქსირება მოხდება ერთსა და იმავე საანგარიშო პერიოდში.

საბუღალტრო აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, ასევე ფულადი საშუალებებისა და დაუმთავრებელი წარმოების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა/ინვენტარიზაცია.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღიარდება ბასს 18-ს მოთხოვნათა შესაბამისად. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) მყიდველს გადაეცემა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი;

ბ) შეწყვეტილია უწყვეტი მენეჯერული მონაწილეობა და არც გაყიდულ საქონელზე ხორციელდება კონტროლი;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებელის მიღება;

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა. საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას დღგ-ს დარიცხვა ხდება სსკ-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროცენტები, როიალტები და დივიდენდები აისახება ბასს 18-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად, თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან მომავალში შემოვა ეკონომიკური სარგებელი;

ბ) შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება (ბასს 18);

ა) პროცენტების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებს ბასს 39-ის მე-9 და მე 5- მე 8 პუნქტები;

ბ) როიალტების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შესაბამისი შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე;

გ) დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

საკუროს სხვაობების აღიარება

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

საღაროსა და საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვა

სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშსწორებისას უპირატესად გამოიყენება უნაღდო ფორმა.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციები ედრება ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს 21-ის მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაყვანილია წარსადგენ ვალუტაში ბასს 21-ის მოთხოვნათა დაცვით:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით;
- გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკუროს სხვაობა აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება აღირიცხება ბასს 19-ს – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების“ მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება ხდება ამ სტანდარტის მე-11 პუნქტის შესაბამისად. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი.

ხელფასების გაცემა ხორციელდება დადგენილ ვადებში, მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, შრომის კოდექსით განსაზღვრული წესით.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვა, გაანგარიშება, დეკლარირება და გადახდა წარმოებს - სსკ-ის XXI თავის 166-1181 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

მოგების გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სსკ-ს XIII თავის - მოგების გადასახადი, 96 -99 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

2017 წლის პირველი იანვრიდან გამოიყენება ე.წ. ესტონური მოდელი.

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფაქტობრივი ოდენობებით, მოგების გადასახადის დეკლარაციაში კი - სსკ-თ განსაზღვრული შეზღუდვებისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

კომპანიის წმინდა მოგების გამოყენება ხორციელდება პარტნიორთა გადაწყვეტილებით, წინა წლებში მიღებული ზარალის გამოკლების შემდეგ დარჩენილი ნაშთის გათვალისწინებით.

საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება სსკ-ს XI თავის 79-82 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი - სსკ-ს XIX თავის 200 -206 მუხლების მოთხოვნათა მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრულია და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა ფინანსური ანგარიშგების ქვემოთ წარმოდგენილი მუხლები:

საადრიცხო პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრულია და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა ფინანსური ანგარიშგების ქვემოთ წარმოდგენილი მუხლები:

1 ა) ფული და ექვივალენტები

დასახელება	საწყისი 31.12.2016		ბრუნვა		საბოლოო 31.12.2017	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	24099	0	2896687	2888683	32103	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	183342	0	3028827	3198090	14079	0
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12	0	773462	773471	3	0
ჯამი	207453		6698976	6860243	46185	

2 ა) მოკლევადიანი მოთხოვნები

დასახელება	საწყისი 31.12.2016		ბრუნვა		საბოლოო 31.12.2017	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	279212	0	2084646	2032773	331085	0
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	636	0	15026	15427	235	0
გადახდილი ავანსები	51	0	27387	51	27387	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	738145	0	1065406	500500	1303051	0
ჯამი	1018044	0	3192465	2548751	1661758	0

3 ა) სასაქონლო-მატერიალური მარაგი

დასახელება	საწყისი 31.12.2016		ბრუნვა		საბოლოო 31.12.2017	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
საქონელი	1,335	0	3,984	1,319	3,999	0
ნედლეული და მასალები	23,865	0	82,940	78,451	28,441	88
დაუმთავრებელი წარმოება	0	0	20,339	20,372	0	33
მზა პროდუქცია	382	0	10,692	10,393	682	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9,115	0	4,351	1,911	11,555	0
სულ	34697		122306	112446	44678	121

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებით, პრაქტიკულად არ არსებობს მარაგები, რომელთა შეფასებაც საჭირო გახდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლები შესაძლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

4 ა) 2100 ძირითადი საშუალებები

დასახელება	საწყისი 31.12.2016		ბრუნვა		საბოლოო 31.12.2017	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
მიწის ნაკვეთები	821,311	0	0	0	821,311	0
დაუმთავრებელი შენებლობა	454	0	51829	63695	1103	12515
შენობები	8105476	0	23677	0	8129154	0
ნაგებობები და სხვა	1095710	0	2934	0	1098644	0
მანქანა-დანადგარები	134392	0	0	0	134392	0
ოფისის აღჭურვილობა	54531	0	2211	0	56742	0
სხვა ინვენტარი	253628	0	10193	0	263822	0
სატრანსპორტო საშუალებები	521812	0	0	0	521812	0
სულ	10987315	0	90845	63695	11026980	12515
შენობის ცვეთა	0	375871	0	135283	0	511154
ნაგებობების ცვეთა	0	184231	0	60743	0	244974
მანქანა-დანადგარების ცვეთა	0	63256	0	14504	0	77760
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	0	13632	0	5014	0	18646
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	0	84079	0	28952	0	113030
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	0	288801	0	53303	0	342105
სულ	0	1009870	0	297800	0	1307670
ჯამი	10987315	1009870	90845	361495	11026980	1320185

5 ა) არამატერიალური აქტივები ბალანსზე აღირიცხება რეალური ღირებულებით.

დასახელება	საწყისი 31.12.2016		ბრუნვა		საბოლოო 31.12.2017	
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი
არამატერიალური აქტივი	18,359	0	0	0	18,359	0
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	0	8,532	0	3,431	0	11,964
ჯამი	18359	8532	0	3431	18359	11964

6 ა) 3000 მიმდინარე ვალდებულებები

დასახელება	საწყისი 31.12.2016		ბრუნვა		საბოლოო 31.12.2017	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	588	35,115	483,309	490,114	0	41,331
მიღებული ავანსები (იჯარა, მოსაკრებლები და სხვ.)	0	1,054	3,054	4,512	0	2,512
გადასახდელი ხელფასები	0	29,424	484,153	454,729	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	588	65,593	970,516	949,355	0	43,843
გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი	0	57,549	150,909	93,360	0	0
გადასახდელი დღგ	0	8,054	466,356	486,401	0	28,099
გადახდილი დღგ	192,569	0	70,189	262,758	0	0
სახელმწიფო ხაზინა	90,535	0	0	90,535	0	0
ქონების გადასახადი	0	241,597	437,108	195,512	0	0
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	0	157	202,028	201,872	0	0
სულ საგადასახადო ვალდებულებები	283,104	307,357	1,326,591	1,330,437	0	28,099
ჯამი	283692	372950	2297106	2279793	0	71942

7 ა) 4000 გრძელვადიანი ვალდებულებები

დასახელება	საწყისი 31.12.2016		ბრუნვა		საბოლოო 31.12.2017	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
გადასახდელი დივიდენდები	0	0	225,000	225,000	0	0
გრძელვადიანი სესხები	0	4,439,278	523,412	0	0	3,915,866
ჯამი	0	4,439,278	748,412	225,000	0	3,915,866

8 ა) 5000 კაპიტალი

დასახელება	საწყისი 31.12.2016		ბრუნვა		საბოლოო 31.12.2017	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	0	7,461,901	0	0	0	7,461,901
გაუნაწილებელი მოგება	0	0	225,000	225,000	0	0
დაუფარავი ზარალი	742,971	0	225,000	0	967,971	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	0	0	1,567,318	2,551,271	0	983,953
ჯამი	742,971	0	2,017,318	2,776,271	967,971	983,953

შემოსავლები

6100	2772690
6110 შემოსავლები რეალიზიციიდან	2772690
8100	201669
8110 კურსთაშორის სხვაობა	722
8140 ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ფასეულობები	3984
8150 გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	114885
8160 შემოსავლები ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერიდან	127
8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	81952
8200	336358
8210 საქბანკიდან მიღებულ კრედიტზე დარიცხული პროცენტი	336358

ხარჯები

7100	460410
7120 პირდაპირი ხელფასი	460410
7200	5582
7210 გაყიდული/შემენილი საქონელი	5582
7400	787241
7400 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	38062
7410 ადმინისტრაციის ხელფასი	208426
7420 საიჯარო ქირის ხარჯი- ავტო მანქანის	48083
7430 კომუნიკაციის ხარჯი	114775
7440 შეკეთების ხარჯი	3553
7450 დასუფთავების ხარჯი	325346
7460 გაზის პროექტი	38545
7470 ექსპერტიზის ხარჯი	7800
7490 სხვა საერთო ხარჯი	2651

ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

ამ შესწორებათა ამოქმედებას უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

უნივერსიტეტი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები¹;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან¹;

- ფასს 16 - იჯარა²;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები³;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება¹;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება²;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით¹;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში⁴;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა¹;
- შესწორებები ფასს 4 - „ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრაქტებთან“ ერთად¹;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით²;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი².


შენიშვნები:

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

7. შემდგომი მოვლენები

2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ, ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე გავლენის მქონე მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“
დირექტორი:



მ. ჩხეტიას

- ფასს 16 - იჯარა²;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები³;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება¹;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება²;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით¹;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში⁴;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა¹;
- შესწორებები ფასს 4 - „ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრაქტებთან“ ერთად¹;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით²;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი².

შენიშვნები:

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

7. შემდგომი მოვლენები

2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ, ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე გავლენის მქონე მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“
დირექტორი:

მ. ჩხეტია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“

მმართველობის ანგარიშგება

2017 წ.
(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ

2018

შინაარსი

შესავალი -----	3
საქმიანობის მიმოხილვა:	
ზოგადი ინფორმაცია შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ შესახებ -----	3
საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა -----	4
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები -----	5
ანალიტიკური მაჩვენებლები -----	5
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები -----	7

შესავალი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“ (კომპანია), როგორც მეორე ზომითი კატეგორიის სუბიექტი, ვალდებულია შეადგინოს და წარადგინოს მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვა.

კომპანია დაფუძნდა 2011 წლის აპრილში და შემდგომ პერიოდში ვითარდება სტაბილურად ფუნქციონირებს.

კომპანია მოწადინებულია გააგრძელოს საქმიანობა და განახორციელოს ღიაობის პრინციპი კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმითა და მოცულობით.

საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

საფირმო სახელწოდება: ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი;

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 430024840;

რეგისტრაციის თარიღი: 15/04/2011

მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. №42

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - 41001010993, მერაბი ჩხეტია

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი
შპს „მ.ს.“ ს/ნ 211327287	26%
შპს „ლამინორა“ ს/ნ 400007461	25%
შპს „ადვანტა“ ს/ნ 400019305	24%
ფ/პ ომარ სამადაშვილი პ/ნ 01020002660	25%

ცვლილებები

საანგარიშგებო პერიოდში შპს „ზესტაფონის“ სავაჭრო ცენტრის“ სარეგისტრაციო მონაცემები არ შეცვლილა.

მისამართი:

ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. №42.

შპს „ზესტაფონის“ სავაჭრო ცენტრის“ ხელმძღვანელობდნენ: 2013 წლის 11 თებერვლამდე **თამაზ ექიზაშვილი** (პ/ნ 01021004281); 2014 წლის 01 დეკემბრამდე - **გოჩა გიორგაძე** (პ/ნ 18001008579) და ამ თარიღიდან - **მერაბი ჩხეტია** (პ/ნ 41001010993).

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- კომპანიის წესდება.
- ბიზნესის მარეგულირებელი სხვა აქტები.

საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა: ფართების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების იჯარით გაცემა, გაქირავება, სასურსათო, არასასურსათო, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციისთვის პირობების შექმნა და მომსახურების მიწოდება, ვაჭრობა. ბეტონის დამზადება და რეალიზაცია.

კომპანიის გაცხადებული კაპიტალია 5 000 000 ლარი.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო სამი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

მაჩვენებლები	31.12.2015	31.12.16	% 2016 წ. 2015 წ- სთან შედარებით	31.12.17	% 2017 წ. 2016 წ-სთან შედარებით	% 2017 წ. 2015 წ- სთან შედარებით
აქტივების ჯამური ღირებულება	11568338	11440075	-1.12	11465203	0.22	-0.90
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	61	63	3.17	63	0.00	3.17
შემოსავალი რეალიზაციიდან	1907697	2391127	20.22	2551271	6.28	25.23
მიმდინარე აქტივები	1310365	1452367	9.78	1740164	16.54	24.70
გრძელვადიანი აქტივები	10257972	9987707	-2.71	9725038	-2.70	-5.48
მიმდინარე ვალდებულებები	845285	281867	-199.89	71992	-291.53	-1074.14
გრძელვადიანი ვალდებულებები	4236578	4439278	4.57	3915865	-13.37	-8.19
მოგება/ ზარალი	-725909	241684	400.35	983414	75.42	173.82
სულ კაპიტალი	6486475	6718929	3.46	7477344	10.14	13.25

როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპანიის შემოსავლები და შესაბამისად, მოგებაც იზრდება. მცირდება ვალდებულებები, რაც კომპანიას სტაბილური საქმიანობის შესაძლებლობას უქმნის.

ანალიზური მაჩვენებლები

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (Current ratio). იგი ასახავს კომპანიის უნარს, მიმდინარე აქტივებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2017 წლის ბოლოსათვის 0.44. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 2.0);

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (Quick ratio). ეს მაჩვენებელი პასუხობს კითხვას, გაყიდვების შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია თუ არა თავისი მიმდინარე ვალდებულებები დაფაროს იოლად კონვერტირებადი აქტივებით. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2017 წლის ბოლოსათვის 0,43.(კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.0);

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Absolute liquidity ratio) ეს მაჩვენებელი ასახავს კომპანიის უნარს დაფაროს მომწოდებელთა მიმართ ვალდებულებები. 2017 წლის ბოლოს იგი შეადგენდა 0,24 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2);

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი (capitalization ratio) იგი 2017 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.72. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი ნაკლებია 0.7);

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Providing funds for working capital ratio) იგი 2017 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.53. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.5);

უკუგება აქტივებზე (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. იგი 2017 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.20 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (Return on equity ROE) იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება კომპანიაში დაბანდებული სახსრები. იგი 2017 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.31. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

უკუგება გაყიდვებზე -რენტაბელობა ((Return on sales ROS) იგი ასახავს გაყიდვების მომგებიანობას, იგი 2017 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0,20. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.15.)

დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts receivable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენადაა დალაგებული კომპანიის ურთიერთობა კონტრაგენტებთან. იგი 2017 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 16.97. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0);

კრედიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. იგი 2017 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 3.2. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0);

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი ან ფაქტორი მიმდინარე პერიოდისათვის არ გააჩნია.

იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონკურენციის გაზრდა და სხვა ფირმები გააფართოებენ თავიანთი მოქმედების არეალს, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის ანალოგიური ფაქტორები არ ფიქსირდება და მომავალშიც არაა მოსალოდნელი რაიმე ისეთი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ფირმის საქმიანობაზე.

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“
დირექტორი:



მ. ჩხეტია

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი ან ფაქტორი მიმდინარე პერიოდისათვის არ გააჩნია.

იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონკურენციის გაზრდა და სხვა ფირმები გააფართოებენ თავიანთი მოქმედების არეალს, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის ანალოგიური ფაქტორები არ ფიქსირდება და მომავალშიც არაა მოსალოდნელი რამე ისეთი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ფირმის საქმიანობაზე.

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“
დირექტორი:

მ. ჩხეტია